13/01/2020

ღვთის რწმენა და სასოება არასდროს დავკარგოთ

მარტყოფში, ღვთაების მამათა მონასტერის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბენიამინი (ბელქანია):

-წმინდა იოანე დამასკელის მაგალითი ხშირად მომყავს. რამხელა რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, ხელი მოგაჭრან, თან მართალი იყო. ღმერთს სთხოვა, ხელი შემიხორცეო და რწმენისამებრ სასწაულიც მოხდა. ღვთის რწმენა და სასოება არასდროს დავკარგოთ. მონასტრის წინამძღვარი კი ვარ, მაგრამ ხშირად დავდივარ ქალაქში, საავადმყოფოებში, ვისაც სჭირდება სულიერი დახმარება, შეძლებისდაგვარად დახმარებას ვუწევ. ბევრი სიღარიბის გამოა გაბოროტებული. როცა ვამბობთ, ვისი იმედი უნდა გვქონდეს, პასუხიც ასეთია,- მარტო ღმერთის. მაალითად, ზოგს მთავრობის იმედი აქვს, მთავრობის წევრები ვინ არიან? ადამიანები. ადამიანებმა კი არ იციან, ხვალ იქნებიან თუ არა. ზოგს ძლიერი ქვეყნის იმედი აქვს, მაგრამ იმპერიები იყვნენ და აღარ არიან. იოანე დამასკელის მაგალითიდან ჩანს, რომ იმედი მხოლოდ ღმერთის უნდა გვქონდეს.
karibche.ambebi.ge